საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№93 (6319) შაბათი 4 აგვისტო 1990 წელი ფასი 4 კაპ.

მიფრინავს „სოიუზ ტმ-10“

საკდესის ცნობა

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1990 წლის 1 აგვისტოს მოსკოვის დროით 13 საათსა დ 32 წუთზე გაშვებულია კოსმოსური ხომალდი „სოიუზ ტმ-10“, რომელსაც მართავს ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის გენადი მიხეილის ძე მანაკოვისა და ბორტინჟინერის—ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვის შემადგენლობით.

3 აგვისტოსთვის დასახულია „სოიუზ ტმ-10“ ხომალდის შეპირაპირება „მირ“ პილოტირებულ კომპლექსთან. ერთობლივი ფრენის დროს შეიცვლებიან სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მეექვსე ძირითადი ექსპედიციის კოსმონავტები სოლოვიოვი და ბალანდინი, რომლებიც დიდი ხანია დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობენ.

„სოიუზ ტმ-10“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები მანაკოვი და სტრეკალოვი თავს კარგად გრძნობენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვა

საქართველოს მოსახლეობისადმი

საქართველოს სიმშვიდეს დიდი საშიშროება შეექმნა.

უაღრესად გართულდა და დაიძაბა ოპერატიული ვითარება, გაუარესდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმე: ¡ გახშირდა ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის, ქურდობის, ყაჩაღობის, საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მექრთამეობის, გამოძალვის, სხვა მძიმე ბოროტმოქმედებათა შემთხვევები; ეგრეთ წოდებულმა ფარულმა ეკონომიკამ პრაქტიკულად სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მოიცვა, სულ უფრო ვრცელდება ორგანიზებული დანაშაული; დღე არ გადის, რომ ავტოავარიებში არ დასახიჩრდეს ან არ დაიღუპოს ხალხი.

მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს და შეშფოთებულია იმის გამო, რომ დამნაშავე ელემენტების ხელში, ახალგაზრდობაში დაგროვდა დიდძალი საბრძოლო იარაღი, ტყვიაწამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი; არის შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის ცდები, ამ ფორმირებებში სისხლის სამართლის დამნაშავეთა, სხვა საეჭვო პირთა შეღწევის ფაქტები.

დამნაშავეთა სამყარო სულ უფრო აქტიურად მილტვის ეროვნული მოძრაობისაკენ, ეტმასნება და აბინძურებს მას.

იშვიათი არ არის მილიციის მუშაკებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე, შინაგან საქმეთა ორგანოების განყოფილებებზე და სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმის ფაქტები იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით.

ეს გარემოება არა მარტო ქმნის მძიმე დანაშაულობათა ჩადენის პოტენციურ შესაძლებლობას, არამედ ამყამად არსებული დესტაბილიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობად წარმოგვიდგება.

რესპუბლიკის მთავრობას სრულად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა შექმნილ სიტუაციაში და ყველაფერს ღონობს ოპერატიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელშიც სავსებით კონკრეტული ღონისძიებანი დაისახა მდგომარეობის უსწრაფესად გამოსწორების მიზნით.

მობილიზებულია მთელი არსებული საშუალებანი და ძალები; ყველა სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს ამოცანები განსაზღვრულია, ისინი გადაყვანილია მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე; მთავრობის წევრები უხელმძღვანელებენ რესპუბლიკის რაიონებში ამ მხრივ მიმდინარე საქმიანობას.

შექმნილი მდგომარეობის სირთულე კიდევ უფრო გამოიკვეთა „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების ფონზე, რომლითაც განსაზღვრულია 15-დღიანი ვადა მოსახლეობაში უკანონოდ დაგროვებული იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარებისათვის, რომლის შემდეგ ძალაში შევა კანონით გათვალისწინებული სანქციები.

საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მთელი ქართველი ერი, მთელი ჩვენი მოსახლეობა სრულად გაითვალისწინებს შექმნილ სიტუაციას და, განსაკუთრებით, მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მთელ საშიშროებას.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ყველა მკვიდრს, მხარში ამოუდგეთ რესპუბლიკის მთავრობას იმ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რომლებიც რესპუბლიკაში სიმშვიდის, მართლწესრიგისა და კანონიერების აღდგენისათვის ხორციელდება.

მივმართავთ ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის, გაერთიანების, ჯგუფის ხელმძღვანელებს, წევრებს: თქვენი პირადი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მთელი ქართველი ერისთვის ამ კრიზისულ სიტუაციაში ყველაფერი იღონოთ, რაც ხელგეწიფებათ, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ მართლწესრიგის აღდგენის გზაზე ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება იქნება უკანონოდ დაგროვებული იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარება.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, უნდა გამოვიყენოთ დარწმუნების ყველა საშუალება—საზოგადოების, პირადი, მშობლის ავტორიტეტი, კონტაქტები, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს ამ ღონისძიების რეალიზაცია.

მოვუწოდებთ ყველას, ვისაც იარაღი აქვს, მოუხმონ გონებას, ჩააბარონ იარაღი შინაგან საქმეთა განყოფილებრივ ორგანოებს.

ჩვენი ოჯახების, ყველა ჩვენგანის სიმშვიდე და ბედნიერება დღეს, როგორც არასდროს, დამოკიდებულია ჩვენსავე მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებაზე, სიბრძნესა და ვაჟკაცობაზე, სიმტკიცეზე.

პირდაპირ ვაცხადებთ: დღეს კიდევ არის შანსი გადავრჩეთ ყველანი და გადარჩეს საქართველო! დღეს კიდევ არის შანსი გადავდგათ ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რისთვისაც მოგიწოდებთ ყველას საქართველოს მთავრობა, რომელსაც თქვენი სჯერა და თქვენი გონიერების იმედი აქვს.

გჯერა, მტკიცედ გვწამს, რომ საქართველო მძიმე განსაცდელს ამჯერადაც დაძლევს!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

30-31 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. გუმბარიძის ხელმძღვანელობით გრძელდებოდა მუშაობა საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

31 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განხილული კანონპროექტების გამოქვეყნების შესახებ, მათ შორის იმ კანონპროექტისა, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ „დას“-ი, ლიბერალურ-დემოკრატიული ერთიანობა პარტია, მრგვალი მაგიდის მონაწილე ორგანიზაციები, მწვანეთა პარტია, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, სახალხო ფრონტი.

სხდომაზე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ გააკეთა განცხადება, რომ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს დანიშნული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობის დამთავრებამდე არ განხორციელდება „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმეის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულებიდან გამომდინარე ღონისძიებანი, რათა ხელს არ შეეშალოს კანონპროექტების სახალხო განხილვასა და სესიის ნორმალურად ჩატარებას.

შრომით გამორჩეულნი

წინათ 100 კილოგრამი აბრეშუმის პარკის მიღება თითქოს დაუჯერებლადაც კი მიგვაჩნდა ჩვენ პირობებში, რადგან აგერ ახლა, რამდენიმე წლის წინ, აბრეშუმის საკვები ბაზის სიმცირეზე ვწუხდით, იმ წლებზე ვყვებოდით, როცა ავადმყოფობამ სრულიად მოსრა და გაანადგურა საკვები ბაზა.

დღეს, როცა რაიონის მშრომელთა ანგარიშზე ქვეყნის მრეწველობას 20 ტონა აბრეშუმის პარკი ჩაბარდა, სიამოვნებით ვავლებთ თვალს სიას, სადაც იმ მეაბრეშუმეთა გვარ-სახელებია ჩამოთვლილი, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ დიდ და სასარგებლო საქმეში.

პირველ რიგში უთუოდ თვალში მოგხვდებათ 213 კილოგრამის ჩამბარებელი ოჯახი, თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სოფელ ორხვში მცხოვრები ცოლ-ქმარის გულნაზი და როსტომ ახვლედიანების ოჯახიდან 213 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩაბარდა ალპანის მიმღებ პუნქტს. უცებ გახმაურდა, ყველამ გაიგო, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა აგრონომმა გულნაზი გოგოლაძემ და მისმა მეუღლემ როსტომ ახვლედიანმა მართლაც განმსაზღვრელი წვლილი გაიღეს რაიონის მეაბრეშუმეთა გამარჯვებაში. ამჟამად პენსიონერმა ცოლ-ქმარმა გამოიყენეს რა თავისი ცოდნა და გამოცდილება, სეზონის დაწყებისთანავე მაღალი მოსავლის მიღებისათვის მობილიზება გაუკეთეს თავიანთ ძალებს და შესაძლებლობებს.

სამი შვილის დედ-მამაა გულნაზი და როსტომი, სამივეს მიაღებინეს უმაღლესი განათლება, დააოჯახეს კიდეც, მაგრამ იმ დაძაბულ დროს, როცა მიზნის მიღწევისთვის არაფერი არ ენანებოდათ, სამივე შვილი გვერდით დაიყენა დედ-მამამ, დიდი სახლის პირველ-მეორე სართულზე ძლივს მოათავსეს გაზრდილ-განებივრებული ჭიები, იყო ღამის გატეხვა, სიძნელეებთან ბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა უფრო მეტად პროფესიონალიზმმა და გამოცდილებამ თქვა, მონდომებამაც თავისი გაიტანა და ასე უხვი მოსავალი მოიწიეს.

ახლა, საქართველოსთვის ამ ძნელბედობის ჟამს, ყველა სასიკეთო საქმე საერთო საქმესთანაა გაიგივებული. ამიტომაა აბრეშუმის პარკის ამდენი მოსავლის მიღებასაც სულ სხვა ხიბლი და მნიშვნელობა აქვს.

ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და კვლავ ბარაქით დამშვენებული წლები ვუსურვოთ ამ საპატიო, სასიკეთო საქმისთვის გარჯილ ცოლ-ქმარს.

ჯ. მანდარია.

გეგმა გადაჭარბებით

მიმდინარე წლის 7 თვე დასრულდა. უკვე ნათლად იკვეთება, თუ ვინ როგორ იბრძვის მიცემული დავალების შესრულებისათვის.

შრომაში დაწინაურდნენ საგზაო-სამშართველოს მშრომელები (უფროსი ო. გიორგობიანი), რომლებმაც 7 თვის გეგმა-დავალება 128,7 პროცენტით შეასრულეს. სტატისტიკის ენით შედეგები ასეთია: გზების კაპიტალურ მშენებლობას მოხმარდა 187 000 მანეთი, გეგმური 147 200-ის ნაცვლად. კაპიტალურ შეკეთებაზე დაიხარჯა 197 200 მანეთი, როცა გეგმა 134 200 მანეთს ითვალისწინებდა. გზების საშუალო შეკეთებას მოხმარდა 126 500 მანეთი, რაც 14800 მანეთით აღემატება დაგეგმილს, მიმდინარე შეკეთებაზე კი 152 100 მანეთის ნაცვლად დახარჯულია 191 400 მანეთი.

ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობის

ახლა, როცა პრაქტიკულად დაიწყო და კოლმეურნეობებში მიმდინარეობს კოლმეურნეთა საერთო კრებები, რომლებიც იხილავენ გლეხურ მეურნეობებზე გადასვლის საკითხს, გაზეთი ბეჭდავს ღროებით დებულებას ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 6 აპრილის დადგენილების „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ" შესაბამისად.

დებულება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სოფლად სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნას, მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების რაციონალურად გამოყენებასა და დაცვას, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას, გარემო ბუნების დაცვასა და გაჯანსაღებას, გლეხის ინტერესების გაზრდას პროდუქციის წარმოების გადიდებით და მისი ხარისხის გაუმჯობესებით.

I. გლეხური მეურნეობა, როგორც სოციალისტური მეურნეობრიობის ფორმა

1. გლეხური მეურნეობის შექმნის მიზანია სოფლის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება.

2. გლეხური მეურნეობა, სახელმწიფო და კოოპერაციულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად, წარმოადგენს ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ რგოლს და ამ მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომა ითვლება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად.

სახელმწიფო იძლევა გლეხური მეურნეობის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას.

3. გლეხური მეურნეობა ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას და თავისი შეხედულებით წარმართავს სპეციალიზაციის, წარმოების მოცულობისა და სხვა პარამეტრებით განსაზღვრულ საქმიანობას, ორგანიზაციას უწევს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას.

4. გლეხური მეურნეობის საქმიანობამ სტიმული უნდა მისცეს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების გადიდებას, კონკურენცია გაუწიოს სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს კვების პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

5. სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკრძალებათ ჩაერიონ გლეხური მეურნეობის საწარმოო საქმიანობაში.

II. კანონმდებლობა გლეხური მეურნეობის შესახებ

გლეხური მეურნეობის შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ურთიერთობანი რეგულირდება საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით და ამ დებულებით.

III. გლეხური მეურნეობის შექმნა

1. გლეხური მეურნეობა ნებაყოფლობის საფუძველზე იქმნება:

—მთის ზონისა და არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე უპერსპექტივო და დაბალრენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე, სადაც შეზღუდულია თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ძირითადად ხელით შრომას ეყრდნობა;

—გაუქმებული და დაცარიელებული სოფლების, ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდისა (საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით) და სახელმწიფო მარაგის მიწებზე, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოთა მიწებზე.

—მოქმედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ გამოუყენებელი ან ნაკლებმოსავლიანი მიწების გადაცემით.

2. ყოფილი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც სურვილი გამოთქვეს შექმნან გლეხური მეურნეობა, განცხადებით მიმართავენ ადგილობრივ სასოფლო საბჭოს აღმასკომებს.

მოქმედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გლეხური მეურნეობის შესაქმნელად მსურველები მიმართავენ შესაბამის მეურნეობათა შრომითს კოლექტივებს.

მიწის ფართობის მიღების უპირატესობა გლეხური მეურნეობის შესაქმნელად ენიჭებათ მოცემული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის კოლმეურნეებსა და მუშებს, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთ მათი მუშაობის გამოცდილების, კვალიფიკაციის, სხვა პირობებისა და ფაქტორების გათვალისწინებით. პირველ რიგში გლეხური მეურნეობები მიიღებენ იმ სახნავი მიწისა და ბაღ-ვენახების ფართობებს, რომლებსაც ისინი ამჟამად იჯარით იღებენ, შემდეგ მათ, სურვილის მიხედვით, გადაეცემათ მიწები აუთვისებელი ფართობებიდან.

საქართველოს სსრ სხვა მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გლეხური მეურნეობის მოსაწყობად ეძლევათ მარაგის მიწებიდან.

გლეხური მეურნეობის მიწის ნაკვეთების ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავენ ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები რეგიონალური თავისებურების, სპეციალიზაციის, უპირატესად გლეხური მეურნეობის წევრთა პირადი შრომის, მოცემული მიწების დამუშავების შესაძლებლობის გათვალისწინებით საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, არა უმეტეს ერთი ჰექტარისა, ადგილზე არსებული მიწის ფონდის რაოდენობის გათვალისწინებით.

3. მოქალაქის განცხადებასა და სოფლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წარდგინებას ერთი თვის ვადაში განიხილავს შესაბამისი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან შექმნილი სპეციალური კომისია.

გლეხური მეურნეობა შექმნილად ითვლება რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცების შემდეგ.

4. გლეხური მეურნეობების რეგისტრაციას აწარმოებენ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

5. გლეხური მეურნეობისათვის მიწის ფართობის გამოყოფაზე სოფლის, დაბის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დაუსაბუთებელი უარის მიღების შემთხვევაში, გლეხს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, ხოლო ამ უკანასკნელის უარის შემთხვევაში—საქართველოს სსრ მთავრობას.

IV. გლეხური მეურნეობის მიწათსარგებლობის საფუძვლები

1. გლეხური მეურნეობის შექმნის მსურველს მიწის ფართობი გამოეყოფა საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოქალაქეს, რომელიც გლეხურ მეურნეობას უძღვება, შრომის უნარის დაკარგვის ან საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში შეუძლია მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლება გადასცეს ან დროებითი სარგებლობისათვის მისცეს ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელიც მასთან ერთად უძღვება გლეხურ მეურნეობას, ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა პირებს საქართველოს სსრ რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით.

გლეხური მეურნეობის წევრებად ითვლებიან გლეხურ მეურნეობაში დასაქმებული მეუღლეები, შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ამ მეურნეობაში.

მემკვიდრეთა შორის წამოჭრილ დავას წყვეტს სასამართლო.

3. მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, თვითნებური გაცვლა—ბათილია. გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება გაყოფას. მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება სამემკვიდრეოდ გადაეცემა საქართველოს სსრ კანონმდებლობის დადგენილი წესით.

გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილ მიწის ფართობზე საცხოვრებელი სახლისა და სხვა კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობის საკითხს ინდივიდუალური წესით განიხილავს და წყვეტს შესაბამისი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი. მშენებლობა შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ გაუქმებულ და დაცარიელებულ სოფლებში იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს მოცემულ რაიონში არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი.

4. ყოფილ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, სოფლის სხვა მცხოვრებთ, რომელთაც დადგენილი წესით შექმნეს გლეხური მეურნეობა, თავის განკარგულებაში რჩებათ და კანონით დადგენილი წესით იყენებენ საკარმიდამო ფართობებს, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ გლეხური მეურნეობის შექმნამდე.

V. გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლების შეწყვეტა

გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლება ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყდება:

ა) თუ გლეხი თავისი სურვილით უარს განაცხადებს გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლებაზე.

ბ) თუ გლეხმა გამოყოფილი მიწა მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენა არასასოფლო-სამეურნეო წარმოების დანიშნულებით.

გ) თუ გლეხმა ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოქმედება (საცხოვრებელი სახლის თვითნებურად აშენება, განსხვისება და სხვა), რაც არღვევს მიწის სახელმწიფო საკუთრებას.

დ) გლეხურ მეურნეობებს, არენდატორებს და სხვა მიწათმოსარგებლეებს, რომლებიც, ერთი წლის განმავლობაში, დანიშნულების მიხედვით არ გამოიყენებენ მიწის ნაკვეთებს და არაფერს გააკეთებენ მისი ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ჩამოერთმევათ მიწის ნაკვეთები და გადაეცემათ სხვა მიწათმოსარგებლეებს ან გადაყვანილი იქნება მიწის სარეზერვო ფონდში.

ე) თუ წარმოიშვა გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოყენების აუცილებლობა, ამ შემთხვევაში, გლეხის თანხმობით, რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ვალდებულია გამოუყოს მას ტოლფასი მიწის ფართობი სხვა ადგილას. მიწის ფართობის გადაცემა საწარმოსა ან ორგანიზაციისათვის მოხდება მას შემდეგ, რაც საწარმო ან ორგანიზაცია აუნაზღაურებს გლეხს მიყენებულ ზარალს—მრავალწლიანი ნარგავების, მიწის ფართობზე აგებული საცხოვრებელი სახლების, შენობა-ნაგებობათა და სხვა საწარმოო დანიშნულების ობიექტების ღირებულებას.

გლეხური მეურნეობისათვის მიწის ჩამორთმევა ხდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საადგილმამულო დავას წყვეტს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, სასამართლო ან სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI. გლეხური მეურნეობის საკუთრება

1. გლეხურ მეურნეობას თავის საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს:

ა) საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი;

ბ) ნათესები და მრავალწლიანი ნარგავები;

გ) ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სათადარიგო ნაწილები;

დ) მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და ფუტკარი;

ე) მის მიერ წარმოებული პროდუქცია;

ვ) სხვა ქონება, რომელიც საჭიროა გლეხური მეურნეობის საქმიანობისათვის.

2. ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი გლეხური მეურნეობა.

3. გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობანი შეიძლება მიეკუთვნოს მესაკუთრეს ამ დებულების III-ე თავის საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. გლეხური მეურნეობის ლიკვიდაციის შემთხვევაში ანგარიშსწორება შრომის ანაზღაურების მიხედვით, მას შემდეგ, რაც დამთავრდება შესრულება-ვალდებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტის, ბანკისა და სხვა კრედიტორების წინაშე, გლეხის ქონება გაიყოფა ნატურით ან მიეყიდება სხვას, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად გლეხური მეურნეობის შექმნის უფლება მიეცემა.

ქონების გაყოფასთან დაკავშირებული დავა წყდება სასამართლო წესით.

VII. გლეხური მეურნეობის ქონების სამართლებრივი დაცვა

1. გლეხური მეურნეობის ქონებას იცავს სახელმწიფო კანონი, მისი განკარგვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ მეპატრონე გლეხს.

გლეხური მეურნეობის ქონების იძულებით ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. გლეხი თავისი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს საკუთარი ქონებით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით გადახდევინებას ექვემდებარება.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს გლეხის ვალდებულებებისათვის.

გლეხისა და მისი ოჯახის წევრთა ქონებრივი ურთიერთობა განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის, აგრეთვე საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსებით.

VIII. გლეხის ქონების მემკვიდრეობა

გლეხური მეურნეობის ქონება, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით დადგენილი წესით, მემკვიდრეობით გადაეცემა კანონიერ მემკვიდრეებს, ან ანდერძში დასახელებულ პირებს.

გლეხური მეურნეობის ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში, თუ არ არსებობენ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეთაგან არც ერთმა არ მიიღო მემკვიდრეობა, ან თუ მოანდერძემ ყველა მემკვიდრეს ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება.

გლეხური მეურნეობის ქონების მემკვიდრე თავისუფლდება დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ მის სახელზე გადაფორმდება მიწით სარგებლობის სახელმწიფო აქტი.

IX. შრომა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა გლეხურ მეურნეობაში

1. გლეხური მეურნეობის საქმიანობას საფუძვლად უდევს გლეხისა და მისი ოჯახის წევრთა პირადი შრომა.

2. გლეხური მეურნეობის შრომითი უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებით და საქართველოს სსრ შრომის კოდექსით.

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!...

ვარიჭე

გაზეთ „ლეჩხუმის“ ალტერნატიული ჩანართი

№5 · შაბათი მორიგისა 4 აგვისტო მარიამობისთვე 1990 წ.

ვინ არის დამნაშავე?

25 ივლისს თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციების პოლიტიკური აქცია, რომელმაც შემდგომ რესპუბლიკური მასშტაბი მიიღო. მთელი კვირის მანძილზე ბლოკირებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზა, აგანგაშდა მოსახლეობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აავსო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თხოვნა-მიმართვებმა, მოწოდებებმა ურთიერთგაგების და კომპრომისებისაკენ, ხოლო მთავრობის თავმჯდომარემ ისიც განაცხადა, რომ მთელი პასუხისმგებლობა რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო ეკისრებათ აქციის ორგანიზატორებს.

რა არის მიზეზი დაძაბულობის ესკალაციისა, რა გარემოებებმა შექმნა ამგვარი ვითარება რესპუბლიკაში? ყველაფერი ეს განაპირობა თვით იმ ადამიანთა მოქმედებამ, რომლებიც ერთი კვირის მანძილზე ჯიუტად ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, რომ ყველაფერი ეს არაფორმალთა თავგასულობის ბრალია. საქმე ისაა, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 ივნისის სესიამ, რომლის მოწვევას ლამის იყო 5 ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა, განიხილა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები და გადაწყვიტა ივლისში მოეწვიათ მორიგი სესია, რომელიც მიიღებდა ახალ საარჩევნო კანონს 1990 წლის 28 ოქტომბრისათვის დანიშნული არჩევნებისათვის. სესიის მოწვევამდე უნდა გამოქვეყნებულიყო საარჩევნო კანონპროექტები და მოწყობილიყო მათი საყოველთაო სახალხო განხილვა. 25 ივლისამდე პრესაში კანონპროექტები არ გამოქვეყნებულა, აღმოჩნდა, რომ უმაღლეს საბჭოსთან არსებულ კომისიას ჯერაც არ დაემთავრებინა მუშაობა მათზე. ალბათ ამიტომაც არ აქვეყნებდნენ ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ ვარიანტსაც. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ ინერტულობამ, დროის გაყვანის პოლიტიკამ და იმან, რომ ივლისი გადიოდა, დაგეგმილი სესიის შესახებ კი არაფერი ისმოდა, გამოიწვია საზოგადოებრიობის შეშფოთება. ჩანდა, რომ ოფიციოზს სურდა კარს მომდგარი არჩევნები ძველი კანონითა და ძველი „წესრიგით“ ჩაეტარებინა. ამის დაშვება კი საქართველოს ღალატია, რადგან ახლანდელი უზენაესი საბჭოს საქმიანობამ შეიძლება ადვილად მიგვიყვანოს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებამდე.

ამან და მხოლოდ ამან გამოიწვია დაძაბულობა და შემდეგ უკიდურესი პოლიტიკური აქციის მოწყობა სამტრედიის რკინიგზის კვანძზე. ოფიციოზმა ყურადღებაც კი არ მიაქცია 25 ივლისს მთავრობის სასახლის წინ გაფიცული ეროვნული მოძრაობის აქტივისტების მოთხოვნებს, როგორც ჩანს,ამჯერად არც რომელიმე პატრიოტის შიმშილობა შეაშფოთებდა. ამიტომ რკინიგზის კვანძის ბლოკირება იყო იძულებითი ნაბიჯი, რისი გადადგმაც თვითონ ოფიციოზმა უკარნახა არაფორმალებს. ისინი ხომ მხოლოდ ერთს ითხოვდნენ ხელისუფლებისაგან—შეესრულებინა საკუთარი გადაწყვეტილება.

მაშ, ვინ არის დამნაშავე, მრგვალი მაგიდის ორგანიზაციები, რომლებიც იძულებული გახდნენ ამ ხერხისათვის მიემართათ და ამით გარკვეულწილად ისედაც დამშეული მოსახლეობა გაენაწყენებინათ, თუ ის ადამიანები, რომელთა უბადრუკმა თავის მართლებამ არ შეიძლება არ აღაშფოთოს დაკვირვებული კაცი—კარაქისა და შაქრის განაწილების საკითხით ვიყავი დაკავებული და მოსალაპარაკებლად მოსული „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლები ვერ მივიღეო.

ლოგიკის მიხედვით, თუ შაქრითა და კარაქით მოსახლეობის უზრუნველყოფა აქციის ორგანიზატორებზე იყო დამოკიდებული, მთავრობის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ უნდა მიეღო ისინი. როგორც ჩანს, მართალია ის ხალხი, ვინც ამტკიცებს, რომ გაჩერებულ ვაგონებში საერთოდ არ იყო კარაქი და შაქარი, უბრალოდ, ამ ხერხით სურდათ მოსახლეობის დაპირისპირება აქციის მონაწილეებთან.

ი. გურამიშვილი.

ეჰეი, შადიმანებო!

დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კრიზისს განიცდის. მიზეზი კი ყველასათვის ნათელია. ოფიციოზმა, როგორც ბატონი ზვიად გამსახურდია წერს, შექმნა „ტროასეული ცხენები“ მოძრაობაში, აამოქმედა კორუმპირებული მაფია. ამის დასტურია ფორუმში მომხდარი უკანასკნელი ამბები (ავტორი გულისხმობს ეროვნული ყრილობის ჩატარების წინ მომხდარ განხეთქილებას—რედაქცია.) ეს ძალიან გახარებთ, სამწუხაროდ, ზოგიერთებს და მერე როგორ!.. 9 აპრილსაც გაიძახოდით, საკუთარი ყურით მომისმენია—უფრო მეტი უნდა გაეწყვიტათ, რა უნდოდათ იმ შუაღამისას იქ, რისი გამკეთებლები არიანო.. მერე... მსოფლიომ გაიგო სიმართლე და მეგონა, თქვენც ირწმუნეთ, მაგრამ—„არ გათეთრდების ყორანი“...

დღესაც ყოველნაირად ცდილობთ, რომ დააკნინოთ ეროვნული მოძრაობა. გინდათ იგი მაფიოზურ მოძრაობაში გარიოთ, ავრცელებთ ათასნაირ ჭორებს, კითხულობთ საგაზეთო პუბლიკაციებს და უკუღმა იგებთ. განა იმიტომ, რომ უნარი არ შეგწევთ გაგებისა? არა, ასე გსურთ! ვიღაც პარტიულმა ფუნქციონერმა (იქნება ისეთმაც, მთელი ცხოვრება გამორჩენას რომ დაეძებდა ყველგან და ყველაფერში) სადღაც, რაღაცა თქვა და აღფრთოვანდით... ისევ სტალინისებურ დიქტატურას ნატრობთ, მისტირით პარტიის არარსებული ავტორიტეტის დაკარგვას, თუმცა აღარც პარტიისა გწამთ და ურწმუნო თომასავით გაიძახით, რომ ახალგაზრდობა ღუპავს ქვეყანას. აღფრთოვანებულნი ლაპარაკობთ, თუ როგორ მკაცრ კანონებს გამოსცემს ე. წ. „ჰუმანური საბჭოთა მთავრობა“ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დასასჯელად და „ის იქნება იმათი თავისუფლება“.

ნუთუ ყველაფერი დაკარგეთ ადამიანური? ნუთუ არ ფიქრობთ, ვის წისქვილზეასხამთ წყალს? ნუთუ არასოდეს დაფიქრებულხართ, რა გაკეთდა მთელი ამ ხნის მანძილზე ე. წ. „გარდაქმნით?“ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტი იქნებოდა ხელისუფლების სათავეში თუ პარლამენტი? როგორი იქნება არჩეული პრეზიდენტი? კონსტიტუციით დაკანონდა მრავალპარტიულობა, თქვენ რომ ასე გეჯავრებათ, მაგრამ შედეგი? არის კი რაიმე სკკპ პროგრამაში ეროვნული ინტერესების გამომხატველი?...

ქართველები ვართ და ვიცით, იყო ბასიანი... იყო დიდგორი, მაგრამ კრწანისიც იყო... იყო ბერი თედორე და ცოტნე დადიანი, მაგრამ.. შადიმან ბარათაშვილიც იყო... არც მეტი, არც ნაკლები! თქვენც ჩვენი დროის შადიმანები ბრძანდებით!

ეჰეი, შადიმანებო!

საამქვეყნო, ეროვნული ტკივილი არასოდეს ყუჩდება. ასე რომ არ იყოს, ვერ მოვიდოდა დღემდე საქართველო. იფიქრეთ, რა იქნება ხვალ? და თუ ასე გააგრძელებთ, მალე უფრო ახლოს გავაცნობთ თქვენს თავს რაიონის საზოგადოებრიობას.

ვისაც სად გნებავთ, რომელ პარტიაში თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებაში, იქ ილვაწეთ, ოღონდ მამული ყველას ერთი გვაქვს და ერთად უნდა ვიბრძოლოთ მისი დამოუკიდებლობისათვის (საუბედუროდ, თქვენ ხომ დამოუკიდებლობისაც გეშინიათ). შოთა შაიშმელაშვილისა არ იყოს, „საქართველო მამლუქების ქვეყანა კია, მაგრამ როდემდე ვწიროთ თავი სხვის დიდებას, ვინ დაგვიფასებს?“.

და კიდევ ერთიც...

ადამიანები ვართ და სიყვარულია თუ სიძულვილი, მეგობრობა თუ ძმობა, ამაღლებაა თუ დაცემა, ადამიანობას ნუ დავივიწყებთ. მართალია, არც ვამპირები ვართ, რომ ერთმანეთის ღრღნასა და კბენა-ღრჭენაში დავლიოთ სული. ყველამ ვიფიქროთ არა პირად ინტერესებზე, არამედ ეროვნულზე, რომელიც ნებისმიერი პარტიის ინტერესებზე მაღლა უნდა იდგას.

დ. ჩორგოლიანი,

ალპანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ქალთა რაიონული საბჭოს ანგარიშზე მრავალშვილიან დედათა დასახმარებლად.

მოყვარესა მტერსა ვუძრახი...

მტერი,—მტერი დაგინდობს,
ლახვარს ჩაგცემს მოყვარე,
აი, ჩემი სიმწარე, ჩემი კვნესა-წუხილი.
ღმერთო, ღმერთო, ამ დღემდე
მე რატომ მოვიყარე,
რატომ გული არ გასკდა ცოტა
ადრე, წუხელის...

ეს სტრიქონები ამოწერილია დავით კვიცარიძის ლექსიდან „რუსთაველის გამზირი“, რომელიც „მნათობის“ მე-5 ნომერშია დაბეჭდილი. იგი 9 აპრილის ტრაგედიას ეძღვნება და გადმოგვცემს იმ კაცის ტკივილს, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ კრემლის მთავრობა მართლა ზრუნავდა ქართველობაზე. გულდაკოდილი ავტორი ამუნთებს, თითქოსდა „ნამუსზე აგდებს“ ძველ მოყვარეს, რომელმაც წარმოუდგენელი მტრობა გამოიჩინა. მაგრამ იყო კი ოდესმე რუსეთის მთავრობა საქართველოსადმი მოყვრულად განწყობილი?

მას შემდეგ, რაც რუსთა „ვსევოლოდებს“ მადა გაეხსნათ და იმპერიის გაფართოება იწყეს, შორეული საქართველო მათთვის აუცილებლად მოსაახლოებელ, საოცნებო მარგალიტად იქცა. მის ხელში ჩასაგდებად ბინძურ ხერხებს არ ერიდებოდნენ „დიდი“ თუ მცირე იმპერატორები—ასე იყო პეტრე დიდის, ეკატერინე მეორეს, ალექსანდრე პირველის დროს. უკვე აღარავისთვის არაა საიდუმლო, როგორც შეუწყო ხელი რუსეთის იმპერიამ საქართველოსა და მაჰმადიანურ სამყაროს შორის კონფრონტაციას და ამით საქართველოს დაძაბუნებას. მისი შორს გამიზნული მაკიაველური პოლიტიკის შედეგი გახლდათ 1783 წლის „მეგობრობის“ ხელშეკრულება და 1801 წელს საქართველოს მიერთება. ქართველ ხალხს, მიუხედავად ქრისტიანული მეფის რუსეთის ფარისევლური პოლიტიკისა, არც არასოდეს ჩაუთვლია იგი მქვემობრად, სანამ იმპერიული ზრახვები ბოლშევიკური იდეებით არ შეინიღბა და ინტერნაციონალიზმის ცრუ გაგებას არ ემსხვერპლა ეროვნული სული. ადამიანთა ტვინის გამუდმებულმა პროპაგანდისტულმა დაბომბვებმა, მეთოდურმა იდეოლოგიურმა დივერსიამ მოწამლა საზოგადოების გონება, გადაგვაქცია პოლიტიკურ დალტონიკებად. როდემდე შეიძლება მოყვარედ ჩავთვალოთ ის, ვინც 1921 წლის თებერვალში დაიპყრო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ხოლო დღემდე გვარწმუნებს, რომ ეს ჩვენივე თხოვნით მოხდა, ვინც იმ წლიდან მოყოლებული მეთოდურად გაწყვიტა მოწინავე ქართული ინტელიგენცია, პროგრესულად მოაზროვნე ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი, სისხლის ღვარი დააყენა საქართველოს მიწაზე, „წალმა-უკუღმა გადახნა იგი“, ათიათასობით ადამიანი გაასახლა შუა აზიასა და ციმბირში, 1956 წლის 9 მარტს დახოცა სტუდენტები, 1989 წლის 9 აპრილს—ქალები და გოგონები, ვინც აწარმოებს ეკოლოგიურ ომს ქართველთა წინააღმდეგ, ლუპის ერთიან საგუბრად სურს გადააქციოს მთელი საქართველო, ვინც ეწევა დემოგრაფიულ ექსპანსიას ჩვენს მიწაზე და ცდილობს საქართველო დარჩეს უქართველობოდ, ვინც გვართმევს ენას, კულტურას და საკუთარს გვახვევს თავზე.

არა, რუსეთის იმპერია არასოდეს ყოფილა ჩვენი მოყვარე, იგი უბოროტესი, საზარელი მტერი იყო და ასეთად რჩება დღესაც, სსრკ-დ გარდაქმნილი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ეს და გავითვალისწინოთ ურთიერთობაში, რათა ბრმად არ ვენდოთ ასეთ „მოყვარეს“.

ვიფხიზლოთ, მოყვრობას მტერი გვამადლის!

ია ხმელიძე.

თავი გაანებეთ!

1990 წლის 29 მაისს გაზეთ „ლეჩხუმში“ დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომმა განიხილა საკითხი რაიონში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობის შესახებ, სადაც ვკითხულობთ, რომ „რაიკომის ბიურომ დაავალა რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებს გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი მშენებლობის ტემპების მაქსიმალურად დაჩქარებისათვის, მიმდინარე წლის გეგმების უცილობლად შესრულებისათვის, ამასთან დასახა ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. რაიონში მშენებარე ობიექტების ექსპლუატაციაში დროული გაშვების უზრუნველსაყოფად მათზე მიმაგრებული იქნენ პარტიის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის წევრები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები“.

წავიკითხე ეს სტრიქონები და ერთი კარგი ქართული ანდაზა გამახსენდა—მგლის თავზე სახარება ეკითხულობდნენ და ის მარცხენა ტყისკენ იყურებოდაო. მე ძალიან მაღელვებს ის გარემოება, რომ პატივცემული ბიუროს წევრები მშვენივრად არიან ინფორმირებული, რომ კომუნისტური პარტია აღარაა მმართველი პარტია და მას არავინ არ ეკითხება მშენებლობის საკითხების განხილვას. მითუმეტეს, რომ მშენებლები მათგან ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ მიიღებენ, ყალბი ლოზუნგებისა და მოწოდებების გარდა. მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ ხომ უნდა გაამართლოს თავისი არსებობა, თითქოსდა მის სინდისზე არ იყოს საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) გაჩანაგება და განადგურება, ხომ უნდა დაასაქმოს ამოდენა აპარატი, ხომ უნდა აუხვიოს ხალხს თვალები, რომ ისინიც რაიმეს აკეთებენ, ანდა ნუთუ არ შერცხვა ამ დოკუმენტის შემდგენს, რომ რაიკომისა და აღმასკომის თანამშრომლები მიამაგრა მშენებარე ობიექტებს. ნუთუ მან საკუთარ თავს არ დაუსვა შეკითხვა, თუ რა უნდა გააკეთოს ამ მიმაგრებულმა ამხანაგმა? განა ამით მშენებლებს ცემენტი ან აგური მიემატებათ?

მაგრამ მარტო ბიუროს წევრების ბრალი არ არის ეს. ეს არის მშენებლების, საზოგადოების ბრალიც, როცა პატივცემული კომუნისტური პარტიის წევრები—მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელები რაიკომში მივიდნენ, ხომ წინასწარ იცოდნენ, რომ ისინი მხოლოდ გაცდებოდნენ და ვერავითარ რეალურ დახმარებას რაიკომში ვერ მიიღებდნენ, რომ რაიკომს კონსტიტუციის მიხედვით არ აქვს უფლება ამ საკითხის განხილვის, და მაინც უსიტყვოდ მოისმინეს ყველაფერი. მათ ადამიანური თავმოყვარეობაც არ ჰქონიათ, რომ დღევანდელ პირობებში ასე აბუჩად აგდებინებენ თავს. მაგრამ გარწმუნებთ, ბატონო ბიუროს წევრებო, რომ მალე ისინი აღარ შემოვლენ რაიკომში, რადგან მათაც მოსწყინდათ ყოველივე ეს, სწორედ ამიტომ დგას ასე მწვავედ რაიკომის აპარატის შემცირების, მათი ძირითადი ნაწილის პედაგოგებად დასაქმების და შენობის დაცლის საკითხები. მართალია, ჩემი მხრიდან თითქოს არ არის ვაჟკაცობა დამარცხებული კომუნისტური პარტიის ასე უმოწყალოდ გაკრიტიკება. მაგრამ მეორე მხრივ, შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ საზოგადოებამ ვერ შეიგნო ბოლომდე კომუნისტური პარტიის სიბოროტე, საქართველოსათვის მიყენებული ზარალის მასშტაბები, ამიტომ კომუნისტური პარტიის კრიტიკა და მხილება უნდა გაგრძელდეს ბოლო კომუნისტამდე.

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის ბიუროს კი მოვუწოდებთ, რომ განიხილოს მხოლოდ პარტიული საკითხები, იმუშაოს იდეოლოგიის გავრცელებაზე (ისე, რაც უფრო ნაკლებს იმუშავებენ ან საერთოდ არ იმუშავებენ, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ სამშობლოს), მშენებლობის საკითხებს კი განიხილავენ თვითონ მშენებლები და მათი დამკვეთები. პარტიის ჩარევის გამო და XXVII ყრილობის პატაკის გამო გაუშვეს ექსპლოატაციაში ჩერნობილის ატომური სადგური, რომელმაც იმდენი ზარალი მიაყენა ქვეყანას, რომ ალბათ საუკუნეები დაჭირდება მის გამოსწორებას. პარტიის „ხელმძღვანელობის“ გამო არ აქვთ მშენებლებს აგური და ცემენტი, სწორედ მათი ხელმძღვანელობის ბრალია, რომ კომისია იღებს დამთავრებულად ბალავერგაუჭრელ სახლებს და ქაღალდზე გეგმა სრულდება.

ამიტომ, ბატონო ბიუროს წევრებო, მოგიწოდებთ, თუ გინდათ, რომ ცაგერის რაიონში რაიმე აშენდეს, თავი გაანებეთ ამ საკითხების ბიუროზე განხილვას (მით უმეტეს ამის კონსტიტუციური უფლება თქვენ არ გაქვთ) და გარწმუნებთ, რომ მშენებლობის საკითხები მაშინვე გადაწყდება.

მიტროფანე სტურუა.

ბენზინის ჯერიც დადგა

ჩვენს ცხოვრებაში მტკიცედ მკვიდრდება... ტალონიზაცია. უკვე ბენზინის ჯერიც დადგა. ბენზინის ავტოგასამართ სადგურთან ერთი კვირის განმავლობაში გაუთავებელი რიგი იდგა, ბენზინი კი არ ჩანდა. არც იმის მთქმელი გამოჩნდა ვინმე, რომ ეთქვა ხალხისათვის, საერთოდ მოვიდოდა თუ არა. და იდგა ხალხი დღისით და ღამით, პაპანაქება სიცხეში ღვთის ანაბარა მიტოვებული, გატანჯული სახით, ნერვებდაწყვეტილი. ტყუილად იკარგებოდა დრო.

თუ მოვა ბენზინი გასაყიდად, მას იძენენ ერთი და იგივე მძღოლები, მათ შორის ისეთები, რომლებიც კერძო გამორჩენის მიზნით იყენებენ ავტომანქანებს.

ვფიქრობთ, შექმნილ ვითარებაში ტალონების შემოღება აუცილებელია და ეს მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ ბენზინის მწვავე დეფიციტი არსებობს.

იმედი გვაქვს, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი გაითვალისწინებს ავტომანქანის მფლობელთა გასაჭირს და დადებითად გადაწყვეტს ამ საკითხს.

გ. ჩარკვიანი.

დემნა ფრუიძე

მთვარე — გულგრილი მემატიანე

...მთვარიან ღამეს სურნელი ათრობს,
ვაზი ყვავილობს ობოლ მამულში,
ჭალაში ლერწამს ზეფირი ართობს,
მუხა წასულა ფიქრით წარსულში.

რიონი მიდის—მიედინება
—კავკასიონის ფიქრი და ცრემლი,
მე, ლოცვად დამდგარს არ მეძინება,
ღმერთო, მიცოცხლე სოფელი, მრევლი.

ათასი ფიქრი ისე წრიალებს,
სული გადადის ცათა ღრმულებში,
მთვარე—გულგრილი მემატიანე
ნელა მიცურავს ქუდა ღრუბლებში.

სივრცეს ვერ კაფავს მკრთალი ნათება,
შავი მაგია ბატონობს მთებზე.
ზანტად გადადის ჯოჯოს არსება
ანგელოსების გადაღლილ ფრთებზე.

მეტეორები ცას კვნესით სცვივა,
ძირს ბევრ მეომარ კვლავ ისე სძინავთ.
ნესტან-დარეჯანს აჟრჟოლებს ცივად
და მის ღაწვებზე კურცხალი ბრწყინავს.

სადაც მარადის მწუხრის მხარეში
იწყება კაცთა თავდავიწყება,
ვის ეღირსება სილამაზეში
სამარის პრვნა და დამშვიდება.

სულის ცდუნება ისევ იწყება,
ბევრში ბატონობს გრძნობები ღამის,
რის გაღვიძება—რა გაღვიძება,
ნოეს კამეჩი ბურანში ბღავის.

ზეთისხილის შტოს მოგვართმევს მტრედი?
ან რას გვიქადის ზღვაური ნოე?
სად დაგვატარებს ცხოვრების ბედი,
მუუდრო ნავსადგურს ოდესმე ვპოვებთ?

ჩვენს კიდობანში მოწამლულია
ცხოველნი, ხენი, თესლიც, გონებაც,
ყოველი ძილით დაბანგულია,
სიზმარეული მესმის გოდება.

ამ ჩვენს კიდობანს მესაჭის გარდა
სათნო მკურნალი სჭირდება ისე,
როგორც თევზს წყალი და ფრინველს სივრცე,
რომ გზა ნათელი გონებას მისცეს.

(ღმერთო, სიყალბეს დაუდგეს თვალი,
ეკალ-ბარდებში რა ვენახია?
ვითომ ამღზრდელი, ვითომ მკურნალი,
ამდენი არსად არ მინახია!)

ახლა იუდაც ატარებს ჯვარს და
ეკლესიაში ეშმაკიც დადის,
ცხვრის ტყავში მგელი ცხვარს ისევ ჭამს და
ყველა თაღლითი ისრულებს წადილს.

ძნელად გაარჩევ მტყუანს და მართალს,
„სო-სო“-ს სისინებს ბნელში გველებიც,
ვის მივეშველო, საჭეს ვინ მართავს,
შუბლზე მეცემა ქრისტეს ცრემლები.

ცხოვრების ჩარხიც ისე ტრიალებს,
ღამეს არ ჩივის იგი სრულებით,
მთვარეც—გულგრილი მემატიანე
ნელა მიცურავს ქუდა ღრუბლებში.

... ძახილი მესმის, სადა ხარ ადამ?!
ისევ მწიფდება ცდუნების ვაშლი?
—ნუთუ გასელია ქვეყანას ვადა,
ადამის მოდგმა ყველაფერს წაშლის?

ამ დროს მომესმის გულწრფელი მოთქმის
ხმა იდუმალი იბერთა მოდგმის,
(საოცარია, რომ ამ ყრუ მოთქმით
ძნელად საგრძნობი იმედიც მოდის).

გულწრფელი მოთქმის მწუხრის ცრემლებით,
იწყება სულის აღორძინება,
დედაო ღვთისა, თავზე გვევლები,
მიტომ ვმძლავრობთ და არ მეძინება.

დედაო ღვთისა, მშვენიერება
შენით მოგვხედავს სრულყოფით სრულად,
კეთროვან ძმათა მით ეშველება,
როს ვუზიარებთ სისხლსაც და სულსაც.

მით მეუბნება თვითონ განგება,
რომ უნდა ვწონო წვეთ-წვეთად, მისხლით,
რამდენს ეყოფა, რამდენს გაწვდება,
იბერთა მოდგმის ცისფერი სისხლი.

ხანიც გვჭირდება, დროც უნდა მწიფდეს,
რომ ღვაწლმა უქმად არ ჩაიაროს,
კუშტი ღრუბლები თუ არა წვიმდეს,
ბუნებამ როგორ გადაიდაროს?

ღმერთო, მოგვფინე და დაგვიმკვიდრე,
ქართველებს კეთილგონიერება,
სიყვარულითვე დიდი სიმდიდრე,
თავისუფლებით—ბედნიერება.

პლანეტა ჯერაც წაღმა ტრიალებს,
ისევ იმედი ცოცხლობს გულებში,
... მთვარეც—გულგრილი მემატიანე,
ნელა მიცურავს ქუდა ღრუბლებში.

●●●

... უბეში გიძევს
მანდატი
—ფიშტოც,
ამაოდ ეძებ
ბნელში სინათლეს.

შენი სატყვიე
შუბლი ვისღა აქვს,
ვინაც გვეტყოდა
ოდეს სიმართლეს.

საფლავებს ჩრდილი
გადაფენია,
გლოვით დაგვყურებს
ღამეში, მთაო,
აწ მისახვრეტი
ვინ დაგრჩენია?
გულდამშვიდებით
იცხოვრე „ძმაო“.

ზეზე მიცვლილთა
ნაშიერთ შორის
(რაჭიტიანი
თავების ტევრში),
გულის ამრევი
სუნი დგას შმორის,
არაფრის მთქმელი
მიმოდის ჭორი.

ბრახა - ბრუხობენ
ბრახიცეფალნი,
მიკროცეფალთა
ყაყანიც ისმის,
ვიღაც ჩეკისტი
(დებოშიორი)
„წესრიგისათვის“
ფიშტოდან ისვრის.

მართლა პრიმატთა
მოდგმის ვყოფილვართ,
ვინა სთქვა, იყო
ადამ და ევა,
მაღლიდან გვიცქერს
მამა უფალი,
და მისგან მესმის
მხოლოდ ღა წყევლა!

განვითარების შესახებ (დროებითი დებულება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გლეხურ მეურნეობებთან იქმნება პროფკავშირთა ტერიტორიული ორგანიზაცია და რეგისტრაციაში ტარდება შესაბამის პროფკავშირთა რაიონულ კომიტეტში.

4. გლეხი და მისი ოჯახის 16 წლის ასაკზე უფროსი წევრები, რომლებიც მეურნეობაში მუშაობენ, ექვემდებარებიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას და სოციალურ უზრუნველყოფას მუშებისა და მოსამსახურეთა თანაბრად.

5. გლეხური მეურნეობა, როგორც დასაზღვევი, რეგისტრაციაში ტარდება შესაბამის პროფკავშირულ ორგანოში და თავისი შემოსავლიდან ანარიცხები შეაქვს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში ყველა მომუშავეზე ცალ-ცალკე (ოჯახის წევრებსა და პირებზე, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ).

შესატანი თანხის ოდენობას განსაზღვრავს თვითონ გლეხური მეურნეობის მეთაური, მაგრამ არანაკლებ იმ საშუალო პროცენტული ოდენობისა, რაც განსაზღვრულია სახელმწიფო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

6. გლეხურ მეურნეობაში ნამუშევარი დრო ჩაითვლება მუშაობის საერთო სტაჟში იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება სოციალური დაზღვევის შენატანების გადახდა.

7. გლეხური მეურნეობის ოჯახის წევრები მტკიცედ ახორციელებენ შრომის და უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო, საწარმოო ჰიგიენისა და სანიტარული წესების დაცვის ღონისძიებებს.

X. გლეხის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენება

1. გლეხი მიწას და სხვა ბუნებრივ რესურსებს იყენებს საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით. გლეხი პასუხისმგებელია მისთვის გადაცემული მიწის, ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მათი დაცვის მოთხოვნათა შესრულებისათვის.

გლეხი მოვალეა ეფექტიანად გამოიყენოს მიწა, დღენიადაგ იზრუნოს მისი ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მტკიცედ დაიცვას გარემო გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან.

2. გლეხი საკუთარი სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტებით ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს. იმ შემთხვევაში, თუ გლეხის მეურნეობისა და მისი სხვა მოქმედების შედეგად დაირღვა ბუნების დაცვის კანონი, პასუხისმგებლობა ეკისრება მას და ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სახელმწიფო გარანტიას იძლევა დაიცვას გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწა, წყალი, ტყეები და სხვა ობიექტები საწარმოთა, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა უკანონო მოქმედებისაგან.

4. სახელმწიფო საწარმო, ორგანიზაცია პასუხს აგებენ გლეხური მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისათვის, რომელმაც გამოიწვია გლეხური მეურნეობის საქმიანობის შეზღუდვა.

ამ შემთხვევაში გლეხურ მეურნეობას აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი (ხარჯები, ქონების დაღუპვა, დაზიანება, სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვის გამო მიუღებელი შემოსავალი და სხვა).

ამ საკითხებთან დაკავშირებული დავა წყდება სასამართლო წესით.

XI. გლეხური მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია

1. გლეხი თვითონ განაგებს მის მეურნეობაში წარმოებულ პროდუქციას, უფლება აქვს ნებართვის გარეშე გადაამუშაოს თავისი მეურნეობის პროდუქცია და გაასაღოს.

2. გლეხს შეუძლია ნებაყოფლობით დადოს პროდუქციის მიყიდვის ხელშეკრულებანი სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებასა და გადამუშავებას, ან მიჰყიდოს იგი საკუთარი შეხედულებით სხვა ნებისმიერ მომხმარებელს და გაყიდოს საკოლმეურნეო ბაზარზე.

სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიყიდული პროდუქცია ანაზღაურდება სახელმწიფო შესასყიდი ფასებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებული პირობების თანაბრად. გლეხის მიერ რეალიზებულ დანარჩენ პროდუქციაზე ფასები წესდება მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

XII. გლეხური მეურნეობის დაკრედიტება და დაფინანსება

1. გლეხი უფლებამოსილია ისარგებლოს სახელმწიფო ბანკის კრედიტებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაფართოებლად, მისი ხარისხის ასამაღლებლად, მიწის, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოსაყენებლად.

გლეხს უფლება აქვს გახსნას ანგარიში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში საკუთარი ფულადი სახსრების შესანახად და ანგარიშსწორებისათვის.

2. საანგარიშსწორებო ანგარიშის მფლობელი გლეხი თავისუფლად განაგებს ამ ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს. საანგარიშსწორებო ანგარიშიდან სახსრების გამოყენება ხდება როგორც უნაღდო წესით, ასევე ნაღდი ფულით.

გლეხის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ფულის განაღდება ხდება ბანკის დაწესებულებაში საანგარიშსწორებო საბუთების შემოსავლის კალენდარული რიგითობის მიხედვით.

3. გლეხის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ფული ჩამოიწერება მხოლოდ მისი ნებართვით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

4. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს შეუძლიათ გლეხს მისცენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები დადგენილი წესის შესაბამისად.

5. გლეხს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საკრედიტო ხელშეკრულებებისა და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ გლეხი დროულად ვერ დაბრუნებს კრედიტებს, ბანკს შეუძლია გამოიყენოს გირაოდ მიღებული ქონების რეალიზაციის უფლება და რეალიზაციის ამონაგებით დაფაროს დავალიანება.

6. სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან დაკრედიტონ გლეხური მეურნეობანი ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე.

7. სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომები სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს წარუდგენენ წინადადებებს გლეხურ მეურნეობებს შორის საერთო საკრედიტო თანხის განაწილების შესახებ და განახორციელებენ კონტროლს კრედიტების დანიშნულებით გამოსაყენებლად.

XIII. გლეხური მეურნეობის გადასახადები

გლეხური მეურნეობის გადასახადების გადახდევინება ხდება „იჯარის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ შესაბამისად.

მიწის ქირის გადახდევინება ხდება ნატურით ან საიჯარო ქირის ფორმით, რომლებიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მიწის ნაკვეთის ოდენობა დგინდება მხარეთა შეთანხმებით საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ფარგლებში.

მიწის საშუალო გადასახადი, რენტა, დგინდება მიწის კადასტრის მიხედვით. იგი განისაზღვრება იმ რაოდენობით, რასაც ფაქტიურად იხდის გლეხობა. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ერთი ჰექტარი სახნავი მიწის გადასახადი განისაზღვროს 130 მანეთით, ერთი ჰექტარი ბაღის—300 მანეთით, ერთი ჰექტარი ბუნებრივი სათიბის—30 მანეთით, ერთი ჰექტარი ვენახის—450 მანეთით, ერთი ჰექტარი ნათესბალახიანი სათიბის — 130 მანეთით, ერთ ჰექტარ საძოვარზე მოზრდილი მსხვილფეხა პირუტყვის ძოვების ღირებულება ერთ წელზე უხნესი პირუტყვისათვის 3 მანეთით, ხოლო ერთ წელზე უხნესი წვრილფეხა პირუტყვისათვის (თხა, ცხვარი, ღორი)—1 მანეთით.

კოლმეურნეობების მიერ იჯარით გაცემული 80 კილოგრამამდე წონის მსხვილფეხა მოზარდი მიეყიდება გლეხურ მეურნეობას კილოგრამი (ცოცხალი წონა) 2,5 მანეთად. დანარჩენი კატეგორიის პირუტყვი ჩაბარდება სახელმწიფოს.

პროდუქტიული პირუტყვი გადაეცემა იჯარით ან მიეყიდება სოფლის მეურნეობის კოოპერატივებს საბიუჯეტო ორგანიზაციების ხორცისა და რძის პროდუქტებით მომარაგებისათვის.

ბაღ-ვენახების ამორტიზაციის ვადის გასვლის შემდეგ ადრე მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის გადასახადი გაუთანაბრდება სახნავი მიწის გადასახადს.

მიწის გადასახადები ირიცხება ადგილობრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ბიუჯეტში, ნაწილობრივ ცენტრალიზდება რესპუბლიკის ბიუჯეტებში და ხმარდება, უწინარეს ყოვლისა, მიწების დაცვასა და ხარისხის გაუმჯობესებას, მიწათმფლობელთა, მათ შორის მოიჯარეთა მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე მიწათმოწყობისა და ტერიტორიის სოციალურ განვითარებას. მიწის ქირის გადახდევინების შეღავათები, გარკვეული ვადით სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება, გადახდის გადავადება, მიწის გადასახადის განაკვეთის შემცირება ხდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV. გლეხური მეურნეობის ქონების სახელმწიფო დაზღვევა

გლეხური მეურნეობის ქონების დაზღვევა წარმოებს მოქალაქეთა ქონების დაზღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XV. გლეხური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ქონებას გლეხი შეიძენს სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, საკოლმეურნეო ბაზარზე, მოსახლეობისაგან, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ქსელში.

გლეხურ მეურნეობას შეუძლია შეიძინოს:

—ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მისი საათადარიგო ნაწილები, მინერალური სასუქი, კომბინირებული საკვები, ინვენტარი, საშენი მასალა, საწვავ-საზეთი მასალა და მეურნეობის საქმიანობისათვის საჭირო სხვა პროდუქცია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემის მეშვეობით საბითუმო ფასებში იმ შემთხვევაში, თუ იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის დამამზადებელ ორგანიზაციებთან გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შესრულებას;

—პირუტყვი და ფრინველი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მხარეთა მიერ განსაზღვრულ ფასებში;

—სიჯიშე თესლი და სარგავი მასალა საცალო და საბითუმო ფასებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დადგენილი წესის შესაბამისად.

გლეხური მეურნეობის კუთვნილი ტრაქტორების, სატვირთო ავტომანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს ახორციელებენ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები მოქმედი ფასების (ტარიფების) შესაბამისად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დადგენილი წესით.

XVI. გლეხური მეურნეობის ურთიერთობა საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან

1. გლეხურ მეურნეობას უფლება აქვს გააფორმოს სახელმწიფო კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და მოქალაქეებთან ნებისმიერი გარიგებანი, რომლებიც კანონით არ არის აკრძალული.

2. გლეხი უფლებამოსილია შეიძინოს, გაცვალოს, გაყიდოს, დაიქირაოს, აიღოს სესხით სახელმწიფო, კოოპერატიული [illegible] სხვა საზოგადოებრივი [illegible] ების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მეურნეობის საქმიანობისათვის საჭირო ქონება.

3. გლეხს შეუძლია დამატებით დააიჯაროს მიწის ნაკვეთები საწარმოო მიზნებისათვის.

4. ანგარიშსწორება არასაცხოვრებელი შენობებისა და ნაგებობათა დასაქირავებლად ხორციელდება მხარეთა მოლაპარაკების თანახმად, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის დამტკიცებული დაქირავების გადასახადზე მეტი, ხოლო მანქანებისა—მხარეთა შორის შეთანხმებული ფასებით. ტრაქტორები, თვითმავალი შასი და მისაბმელები, მისი ინვენტარი, შეიძლება შეძენილ იქნეს დადგენილი წესით.

5. გლეხის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა და ოპერაციები სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოწოდებლებთან ხორციელდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის გლეხურ მეურნეობას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით და ანაზღაურებს მომხმარებლისათვის მიყენებულ ზარალს.

სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს და მოქალაქეებს გლეხთან დადებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით და ანაზღაურებენ გლეხისათვის მიყენებულ ზარალს.

ხელშეკრულების დადება, სახელშეკრულებო პარტნიორის შერჩევის ჩათვლით, წარმოადგენს მხოლოდ გლეხის კომპეტენციას.

დაუშვებელია მართვის სახელმწიფო, კოოპერატიული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებასა და განხორციელებაში.

6. გლეხი უფლებამოსილია თავისი ამოცანების შესასრულებლად სახელშეკრულებო საფუძველზე გამოიყენოს — ქონება, რომელსაც მას გადასცემენ სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

7. გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწის სამუშაოები (მელიორაცია, გზების მოწყობა, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების მშენებლობა) ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე სპეციალიზებული ორგანიზაციების მეშვეობით. შესრულებული სამუშაოები ანაზღაურდება დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

გლეხური მეურნეობა თავისუფლდება საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების საამორტიზაციო გადასახდელებისაგან.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ

(დასასრული).

XVII. გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებანი

გლეხურ მეურნეობებს შეუძლიათ ცალკეულ სახეობათა საქმიანობის განსახორციელებლად გაერთიანდნენ კოოპერატივებად, ამხანაგობებად, კავშირებად, ამასთან შეინარჩუნონ თავისი სამეურნეო დამოუკიდებლობა და ამ კავშირებიდან თავისუფლად გამოსვლის უფლება.

XVIII მიწის შესახებ დავის გადაწყვეტა

მიწათსარგებლობის საკითხებზე წარმოშობილი ყველა სახის დავა განიხილება საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დადგენილი წესით.

სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომები წინასწარ ქმნიან მიწის სარეზერვო ფონდს, რომელსაც მიეკუთვნება გაუცემელი, შემდგომში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებითა და სამოსახლოებად გამოსაყენებელი მიწები, აგრეთვე ის მიწები, რომლებიც მფლობელებს ჩამოერთვათ არასწორი გამოყენებისათვის.

თუ მოცემულ რეგიონში კოლმეურნეობის ფუნქციონირება გრძელდება, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა შეუძლიათ ცალკეულ კომლებს, კოლმეურნეობაში შემავალი ცალკეული სოფლებისა და უბნების მცხოვრებლებს. კოლმეურნეობები აგრძელებენ ფუნქციონირებას, თუ მეურნეობაში დარჩენილია წევრთა 50 პროცენტზე მეტი, საზოგადოებრივი მეურნეობები უქმდებიან და წყვეტენ არსებობას საერთო კრების დადგენილებით, თუ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლას მოითხოვს წევრთა ორი მესამედი.

როცა მოცემული სოფლის სინამდვილეში საზოგადოებრივ და გლეხურ მეურნეობებს ერთდროულად უხდებათ ფუნქციონირება, კოლმეურნეობები ვალდებული არიან ფასქვეშ მოემსახურონ გლეხურ მეურნეობებს, შეუსრულონ მათ ნიადაგის ხვნის, თესვის, სარგავი მასალით უზრუნველყოფის, შხამქიმიკატებით, სასუქებით, კომბინირებული და უხეში საკვებით მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციისა და ტრანსპორტით მომსახურების სამუშაოები.

გაუქმებული კოლმეურნეობების ბაზაზე იქმნება გლეხური მეურნეობების მომსახურების საწარმოები 3-5 საშტატო ერთეულით, რომლებსაც ცალკელი სოფლების მიხედვით, შეუძლიათ შექმნან კოოპერატივები, მექანიზებული რაზმები და მოემსახურონ გლეხურ მეურნეობებს.

აღნიშნული საწარმოების შესანახი ხარჯები ფორმირდება მომსახურების შემოსავლებიდან და დამზადების ორგანიზაციის ხარჯებიდან ცენტრალიზებული წესით.

კოლმეურნეობების საქმიანობის შეწყვეტისას სახელმწიფო სესხების დაფარვის, შრომის ანაზღაურებისა და კოლმეურნეობის წევრთა პირადი ანგარიშებიდან წილობრივ ფონდში გადასახდელების მიხედვით ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა რეორგანიზაციის შემდეგ შექმნილ სოფლის მეურნეობის მომსახურების საწარმოებს, დანარჩენი გაიყიდება კოოპერატივებზე, გლეხურ მეურნეობებსა და შესყიდვის მსურველ სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებებზე.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის იქმნება რაიონული და ადგილობრივი კომისიები, რომლებიც აზუსტებენ მსურველთა რაოდენობას, ახდენენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ძირითადი ფონდების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საბრუნავი სახსრების, კრედიტორული და დებიტორული დავალიანების, ბაღ-ვენახების ფართობების, ნარგაობისა და პირუტყვის სულადობის ინვენტარიზაციას. კომისიები გლეხურ მეურნეობებს, კოოპერატივებს, სხვა დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს გადასცემენ სახნავს, სათიბს, ბაღ-ვენახებსა და სხვა საშუალებებს, რაზედაც ადგენენ სათანადო აქტებს.

გილოცავთ

ნათელა გიორგის ასულ ბენიძეს
ბადრი მიშას ძე სალინაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი. კვლავაც ემრავლოს შვილებს თქვენს ოჯახში.

ვენერა გალაქტიონის ასულ მდივანს

გილოცავთ შვილის, დათოს, უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას სულ წარმატებები და სიხარული ჰქონოდეს თქვენს ოჯახს.

ცაგერის სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები.

ცეოლითი და მოსავალი

ნიუნეამურსკელმა კოოპერატორებმა შეძლეს შარშანდელი მოსავლის კარტოფილი შეენახათ წლევანდელ ივნისამდე და გამოეტანათ იგი ბოსტნეულის მალაზიების დახლებზე.

კარტოფილის შენახვა უზრუნველყვეს ცეოლითის ფხვნილის მეშვეობით, რომელსაც უშვებენ ადგილობრივი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „დალცეოლიტის" კოოპერატორები. ზასწაული მინერალი, რომელსაც საუცხოო შთანთქმის თვისება გააჩნია, ისრუტავს საცავში არსებულ ზედმეტ ტენსა და მასთან ერთად მავნე მიკრობებს. ამის შედეგად ბოლქვების მასობრივი გადარჩევის შრომატევადი და ყოველთვის არაეფექტიანი ოპერაციები მინიმუმამდეა დაყვანილი. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ცეოლითი უზრუნველყოფს არა მარტო კარტოფილის ბოლქვების, არამედ ახალი კომბოსტოს, სხვა ბოსტნეული კულტურების მაღალხარისხოვან შენახვასაც. ხოლო მისი სასუქად გამოყენება თითქმის მესამედით ამაღლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

გეოლოგებმა ამურის ნიკოლაევსკის უშუალო სიახლოვეს აღმოაჩინეს ცეოლითის ნედლეულის უზარმაზარი მარაგი. უკვე ორგანიზებულია მოპოვება და გადამუშავება, კოოპერატორები მთლიანად აკმაყოფილებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა განაცხადებს. ნიუნეამურსკელთა ახალი პროდუქციით დაინტერესდნენ აგრეთვე ჩინელი, იაპონელი და კორეელი მყიდველებიც.

საკდესის კორ.

რიაზანის ოლქი. მეურნეობრიობის ახალი ფორმები შემოდის სასოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესში". პირველ, საიჯარო კოლექტივს სათავეში ჩაუდგა ნიკოლოზ კუჩერენკო. იჯარით აიღეს ფერმა, რომელშიც მანამდე მატერიალურად დაუინტერესებელი ადამიანები როგორღაც უვლიდნენ გაძვალტყავებულ ძროხებს. იჯარაზე გადასვლის შემდეგ მეცხოველეთა კოლექტივი ორჯერ შემცირდა, დარჩა ის, ვისაც სურდა და შეეძლო მუშაობა. 225-ის ნაცვლად ახლა უკვე 430 ძროხას უვლიან, თავიანთი ძალებით გაუკეთეს რეკონსტრუქცია ფერმას, თანდათანობით თითქმის ყველაფერი მექანიზებული გახდა.

გამომუშავებულ თანხას მოიჯარეები (ისინი 12 არიან) თვითონ ანაწილებენ, საშუალოდ თვეში ათას-ათასი მანეთი გამოდის. ფერმა კოლმეურნეობას წელიწადში 270 ათას მანეთ მოგებას აძლევს.

კუჩერენკოს უკვე მიმდევრებიც ჰყავს. იჯარაზე გადადის იარნოვსკის ფერმა. აქ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ინიციატივით ააგეს საწველი დარბაზი. თანდათანობით ძლევენ წინააღმდეგობებს.

სურათზე: ნიკოლოზ კუჩერენკო და მისი თანაშემწე მალინკა.

საკდესის ფოტოქრონიკა

იცავენ ვეფხვებს

დელი. ახალი, რიგით მეთვრამეტე ვეფხვების ნაკრძალი შეიქმნა ინდოეთის ბიჰარის შტატის ჩრდილოეთში. შარშან ჩატარებული აღწერის მიხედვით ამ რაიონში 81 ვეფხვი ბინადრობს. როგორ ეგუებიან ადამიანები ამ საშიშ მტაცებელს?

ადამიანზე ვეფხვების თავდასხმა სულ უფრო იშვიათია. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად საშიშია მდინარეების განგისა და ბრახმაპუტრას დელტის ჭაობიანი რაიონები დასავლეთ ბენგალიის შტატში. მთავარი ამოცანაა უფლება არ მისცენ ადგილობრივ მცხოვრებლებს შევიდნენ იქ განლაგებული ნაკრძალის ტერიტორიაზე. მაგრამ ისინი მიდიან იქ თევზის, თაფლისა და მერქნის მოსაპოვებლად. გლეხებმა ფანდსაც კი მიმართეს—კეფაზე იკეთებენ ნიღაბს, რაკი ცნობილია, რომ ვეფხვი არასდროს არ ესხმის პირისპირ. მტაცებელს ადამიანის შიში რომ ჩაუნერგონ, დაავეს ადამიანის ფიტულები და შიგ დენი შეიყვანეს. თავდასხმის შემთხვევაში ვეფხვი იღებს სიცოცხლისათვის უსაფრთხო, მაგრამ გამაყრუებელ დარტყმას. ნაკრძალის მუშაკებს მიაჩნიათ, რომ ეს ვეფხვს ადამიანზე თავდასხმის ხალისს დაუკარგავს.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

მეუღლე საშა, შვილები ჟორა, ნივრა, თალიკო, დები ბაბილო, საშა, რძლები ნუნუ, მადონა, ზინა, სიძე სოსო კოპალიანი, შვილიშვილები ციცო, დათო, გია, ნონა, ნანა, გოჩა, მამუკა, ბესიკი, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაქსიმე სოლომონის ძე გაბიძაშვილი

დაკრძალვა 5 აგვისტოს, კვირას, სოფ. ორხვში.

რაიონის სავაჭრო ქსელის მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ნივრა ქომეთიანს მამის

მაქსიმე გაბიძაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლოლა, მევლუდი, გოგი ბენდელიანები, იზო, გელა კუხალაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანული არქიბოს ასული ხეცურიანი-მუშკუდიანი.

ძმები სერაპიონ, მიშა, ძმისშვილი გელა ახვლედიანები, სიძე პიერ ფუტკარაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ვასილის ასული ახვლედიანი-ონიანი

დაკრძალვა 5 აგვისტოს, კვირას ქ. ქუთაისში.

№23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუნუ ახვლედიანს მამიდის

თამარ ვასილის ასულ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

წიფერჩის სასოფლო საბჭოს, საექიმო ამბულატორიის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვიოლა ზურაბიანს მამის

თედორე ზურაბიანის

გარდაცვალების გამო.

გიორგი, როლანდ ცხვედიანები, ზურაბ, შოთა ხაბულიანები, რამინ ყურაშვილი, ტარზან, დემულ მეშველიანები, ავთო კოპალიანი, მიშა, იორამ ჩარკვიანები, ჯუმბერ, გრიშა ნემსწვერიძეები, ბორის, ლერი, ბონდო თუთისანები, ავთო ერასტის ძე თუთისანი, ბუჰუ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი დომენტის ასული ქომეთიანი-ფუტკარაძე.

ლასურიაშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი შ. ხეცურიანი თანაუგრძნობენ როზა მუშკუდიანს დედის

ნანული მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, [illegible] 66529, შეკვეთა 27 [illegible]

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა,